ისტორიის რეფლექსია

კლიმატმეგობრული სკოლის პროექტის ფარგლებში ჩვენ გავეცანით ჩვენი წინაპრების დამოკიდებულებას მზისადმი როგორც რელიგიასა და მითოლოგიაში, ასევე ყოფით საქმიანობაში.

შევიტყვეთ მზის კულტის შესახებ ისეთი ქვეყნებში ,როგორიცაა ეგვიპტე, იაპონია, შუმერი,ბაბილონი, ჩინეთი, ინდოეთი ,ძვ. რომი და საბერძნეთი.

განსაკუთრებით დაგვაინტერესა მზის კულტის არსებობამ აცტეკებში, რომლების ცოცხალი ადამიანების ,ძირითადად ტყვეების ჯერ კიდევ მფეთქავ გულს სწირავდნენ მზის ღმერთს უიცილოპოტჩლის. ზოიერთ ხალხში მზეს ჰქონდა ქალის სახე, ზოგშიც მამაკაცის.

შევავსეთ ცხრილი, რომელშიც ჩამოვაყალიბეთ მზის როლი და მნიშვნელობა, სხვადასხვა ხალხებისთვის. ვიმსჯელეთ თუ რამ განაპირობა მზის კულტის აღმოცენება, თუ რა საერთო აქვთ მზის კულტებს ერთმანეთთან.

გავეცანით მზის როლს ქართულ მითოლოგიასა და ზეპირსიტყვიერებაში, რომლიდან გამომდინარეც განვიხილეთ ამ მნათობის ორბუნებოვანი სახე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. გამოვიყენეთ ტექსტის წაკითხვისას პაუზებით კითხვა ,რაც დაგვეხმარა ტექსტის უკეთ გააზრებასა და მასში განსაკუთრებული აქცენტების პოვნაში.

გავეცანით ბორჯღალის / სვასტიკის ისტორიას, რომელიც ასევე მზის კულტთან არის დაკავშირებული.მოვიძიეთ ინფორმაცია თუ რატომ გაიხადეს სვასტიკა ფაშისტებმა თავიანთ სიმბოლოდ. გავეცანით მზესა და რელიგიური დანიშნულების ნაგებობებს შორის კავშირს, ასევე შევიტყვეთ თუ როგორ ითვალისწინებდნენ მზის ენერგიას ადამიანები თავიანთი სახლების გასათბობად თუ გასანათებლად, გავიგეთ რომ ,ძველ რომში იმპერატორ ტიბერიუსიის დროს შეიქმნა პირველი სათბურებ, რადგანაც ტიბერიუსი, ექიმების რჩევით ბევრ ბოსტნეულს მიირთმევდა ზამთარ-ზაფხულ. ახლა კი ქვეყანა , რომელსაც სათბურები ყველაზე დიდ ფართობზე აქვს განლაგებული არის ჩინეთი ,მეორე ადგილზე კი ესპანეთი.შევავსეთ ცხრილი რა ვიცით, რა გვაინტერესებს და რა ვისწავლეთ .

გავეცანით ძველი მზის საათების ისტორიას, რომელსაც ჯერ კიდევ ეგვიპტეში იყენებდნენ, მას იყენებდნენ ასევე რომში. საქართველოში კი მზის საათი გვხვდება გელათის მონასტერში.ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის მზის ენერგიის სამხედრო მიზნით გამოყენება ძველ დროში .

შევიტყვეთ რომ ძვ. წ. აღ. 3 საუკუნეში ბერძენმა მათემათიკოსმა და ფილოსოფოსმა არქიმედემ , თავისი მშობლიური ქალაქის სირაკუზის დასაცავად რომაელებისგან , გამოიგონა ბრტყელი, კარგად გაპრიალებული თითბრის დაფები, რომლებიც მზის სხივებს ირეკლავდნენ და სხივები ერთ წერტილში კონცენტრირდებოდნენ. გადმოცემის თანახმად, არქიმედემ, რამდენიმე ხის ხომალდის დაწვა შეძლო.საერთო ჯამში ჩვენთვის საინტერესო იყო ეს პროექტი და შეძლებისდაგვარად მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავს პროექტებში ჩართვასა და აქტიურობას.